

**საქართველოს მთავრობის  
განკარგულება  
N794                      2013 წლის 15 ივლისი                      ქ. თბილისი**

**იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა რეგისტრაციის  
(ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემის) ღონისძიებათა  
განხორციელების შესახებ**

1. 2013 წელს საქართველოში, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა რეგისტრაციის (ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულად ჩატარების მიზნით:

ა) მოწონებულ იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი - იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა რეგისტრაციის (ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემა) პროგრამა;

ბ) იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა რეგისტრაციის (ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემა) პროგრამის საერთო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 1 აგვისტო - 2014 წლის 1 იანვარი.

2. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს:

ა) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც განსაზღვრული იქნება დევილთა რეგისტრაციის განხორციელებასთან დაკავშირებული ვადები რეგიონების მიხედვით და კონკრეტული პროცედურები;

ბ) საქართველოს მთავრობას წარუდგინოს ინფორმაცია დევილთა რეგისტრაციის მიმდინარეობისა და დასრულების თაობაზე.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევილთა რეგისტრაციის (ახალი ნიმუშის მოწმობის გაცემა) ჩატარების უზრუნველსაყოფად მიმართოს 1 370 013 (ერთი მილიონ სამას სამოცდაათი ათას ცამეტი) ლარი, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით, საჭირო სახელმწიფო შესყიდვები განხორციელოს გამარტივებული შესყიდვით.

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კომისიების ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

6. დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კოორდინაცია, რათა მათ მიერ უზრუნველყოფილი იქნეს, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კომისიებისათვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შესაბამისი სამუშაო ფართების გამოყოფა.

7. დაევალოს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებს ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესრულების მიმდინარეობისას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართვის შემთხვევაში, ყველა საჭირო დახმარების გაწევა მათი კომპეტენციის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი  
*ივანიშვილი*

*ბიძინა*